

მოსახლეობასთან შეხვედრის ოქმი N7

მუნიციპალიტეტის დასახელება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

სოფელი, თემი, დაბა: გვიმბალაურის ადმინისტრაციული ერთეული

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 14.06.2018 წელი 12:00 საათი

შეხვედრას ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, გვიმბალაურის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი ცისანა ურუშაძე, მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში დურმიშხან ხოფერია, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი, მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხაიძე, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი მამუკა ვადაჭკორია, მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე ეკა გუჯაბიძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მათა კუპატაძე, მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნინო მშვიდლობაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ, მუნიციპალიტეტის მერმა ალექსანდრე სარიშვილმა და გვიმბალაურის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ცისანა ურუშაძემ მადლობა გადაუხადეს ადგილობრივ მოსახლეობას, რომ მათ გამონახეს დრო მათთან შესახვედრად.

გვიმბალაურის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი, ცისანა ურუშაძე მიესალმა მოწვეულ სტუმრებს და ადგილობრივ მოსახლეობას მიმართა თხოვნით, რომ მიეწოდებინათ ინფორმაცია როგორც ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული, ასევე პირადი პრობლემების შესახებ.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, ადგილობრივი მოსახლეობის საერთო პრობლემას აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი წარმოადგენს. შეწამვლითი სამუშაოების ჩატარების შემდეგ მავნებლების რაოდენობა მკვეთრად შემცირდა, მაგრამ თხილის, ხეხილისა და ბოსტნეულის ნარგავები ზიანდება სხვა დაავადების შედეგად.

მოქალაქე, ინგა ასანიძის თქმით, აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებელია, რომ მოსახლეობამ კვალიფიციური აგრონომიდან მიიღოს სათანადო რჩევა და ინფორმაცია ამა თუ იმ დაავადების წინააღმდეგ ჩასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით. ასევე

აუცილებელია შესაბამისი ლაბორატორიის მოწყობა, სადაც მოხდება ნიადაგისა თუ სხვადასხვა კვლევების ჩატარება.

მუნიციპალიტეტის მერი, **ალექსანდრე სარიშვილი** დაეთანხმა მოქალაქეს და აღნიშნა, რომ ეს დაეხმარება მოსახლეობას სწორად განახორციელოს მცენარის დაავადების წინააღმდეგ ჩასატარებელი ღონისძიებები.

მოქალაქემ, **ლალი მშვიდლობაძემ** აღნიშნა, რომ მოსაწესრიგებელია ჯუნეწრის სასაფლაოსთან მისასვლელი გზა წმინდა ლაზარეს ეკლესიის მხრიდან. კერძოდ, გზა უნდა მოიხრეშოს და გაკეთდეს სანიაღვრე არხები. ასევე, აუცილებელია სასაფლაოს მიმდებარედ დაიდგას ნაგვის ბუნკერი.

მოქალაქემ, **ტარიელ იმნაძემ** აღნიშნა, რომ სოფლის საძოვარი გავერანებულია, ამოსულია ხეები, საქონელი კი ძალიან ბევრია და არ ყოფნის არსებული საძოვარი. ამიტომ აუცილებელია სოფლის საძოვრის გაკულტურება.

მოქალაქემ, **ოლეგ კუპრაძემ** თხოვნით მიმართა ადგილობრივ ხელისუფლებას დახმარების თაობაზე. მისი თქმით, შეამოწმეს სოციალური სააგენტოს წარმომადგენლებმა, მაგრამ სოციალური დახმარება არ დაენიშნა. ამასთან, მეუღლე ყავს ავადმყოფი, რომელიც საჭიროებს სამედიცინო გამოკვლევას, რისი საშუალებაც არ გააჩნიათ, რადგან ოჯახს ფინანსურად ძალიან უჭირს.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ერთჯერადი დახმარების გაცემა გაუქმებულია. ამ მოქალაქეს შესაძლებელია გაეწიოს პროგრამული დახმარება სამედიცინო კვლევებსა და მედიკამენტების შეძენასთან დაკავშირებით.

გვიმბალაურის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის, **ცისანა ურუშაძის** თქმით, აღნიშნულმა მოქალაქემ ერთჯერადი დახმარების თაობაზე რამდენჯერ მომართა განცხადებით, მაგრამ ამ ეტაპისთვის ეს ვერ მოხერხდება, რადგან ასეთი სახის დახმარებები აღარ გაიცემა. ამასთან, აღნიშნულ ოჯახს სოციალური სააგენტოს მიერ მინიჭებული აქვს მაღალი ქულა. ოლეგ კუპრაძე არის სამკურნალო. ასევე, გამოკვლევები და მკურნალობა ესაჭიროება მის მეუღლეს. დეპუტატის თქმით, თუ კი შესაძლებელია, მაშინ მოქალაქე ხელახლა მიმართავს სოციალურ სამსახურს.

მოქალაქემ, **ნესტანი კიკვაძემ** აღნიშნა, რომ სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში სარგებლობდა სამედიცინო პოლისით, მაგრამ ისიც მოუხსნეს. ყავს ავადმყოფი მეუღლე, რომელიც არის პირველი ჯგუფის ინვალიდი. მან თხოვნით მიმართა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს დახმარებასთან დაკავშირებით. მოქალაქემ ასევე აღნიშნა, რომ საქონელი ანადგურებს საყანე ფართობებს, რადგან ისინი შესალობია. გარდა ამისა,

ტექნიკუმის ზემოთ დასახლებაში მოსაგვარებელია წყლის პრობლემა და დასამონტაჟებელია წყლის მრიცხველები.

მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა, **ლევან ჩხაიძემ** განმარტა, რომ უახლოეს დღეებში მზად იქნება ყველა სოფლის პროექტი.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ამ ეტაპისთვის გათვალისწინებულია ოთხი სოფელი, მათ შორის გვიმბალაურიც.

მოქალაქემ, **ლია იმნაძემ** აღნიშნა, რომ მარჯანიშვილის ქუჩაზე წვიმის დროს იტბორება საცხოვრებელი სახლები, რადგან გასაკეთებელია სანიაღვრე არხები.

მოქალაქემ, **თამარ სარჯველაძემ** აღნიშნა, რომ ზაზა ქურიძის სახლიდან სოფლის ბოლომდე გასაკეთებელია გზა და სანიაღვრე არხები, რადგან წვიმიან ამინდში გადაადგილება თითქმის შეუძლებელია. ამასთან, იტბორება თხილის ფართობები, რის შედეგადაც ზიანდება ნარგავები. ასევე, ბუხუტი ხელამის სახლთან შესაცვლელია გარე განათების ბოძი. მოქალაქის თქმით, მწვავედ დგას წყლის პრობლემა. ზემო უბანს წყალი გრაფიკითაც არ მიეწოდება.

გვიმბალაურის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის, **ცისანა ურუშაძის** თქმით, ადმინისტრაციული ერთეულის სახელზე მოსულია ენერჯო კომპანიიდან წერილობით დადებითი პასუხი გარე განათების ბოძის შეცვლასთან დაკავშირებით.

გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის **დურმიშხან ხოფერიას** განცხადებით, კეთდება ჯაბელი-ჯუნეწრის დამაკავშირებელი 100 მეტრიანი მონაკვეთი სიგრძის რკინა-ბეტონის გზა, ხოლო მომავალი წლისთვის გათვალისწინებულია 500 მეტრი სიგრძის ასფალტირებული გზის დაგება, რომელიც მოსახლეობის არჩევანის მიხედვით გაგრძელდება ქვემოთ, ან დაიგება ეკლესიისკენ მიმავალ გზაზე. ასევე, უნდა გაკეთდეს სანიაღვრე არხებიც. ზემო ჩიბათის ასასვლელთან ამ ეტაპისთვის სიტუაციას შველის სანიაღვრე არხების გაკეთება. ამასთან, გზა დროებით მაინც უნდა მოიხრეშოს.

მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის, **ლევან ჩხაიძის** განცხადებით, დაზიანებულია წყლის მაგისტრალი, რომელიც გაკეთდება, დაიდგმება მრიცხველები და გაიზრდება დებეტი.

მოქალაქის, **გია ბოლქვაძის** განცხადებით საყანე ფართობებში გადის გაზის მილები. შარშან მოსახლეობაზე ამ კუთხით გაიცა ფულადი კომპენსაცია. თუმცა ეს მილები არ არის დამონტაჟებული და მიწის ზემოთ ყრია, რის გამოც შეუძლებელია ფართობების დამუშავება და დათესვა. მოქალაქე დაინტერესდა, რადგან მოსახლეობა აღნიშნული მიზეზის გამო ვერ სარგებლობს საყანე ფართობებით, გაიცემა თუ არა მიმდინარე წელს მათზე რაიმე სახის კომპენსაცია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** განაცხადა, რომ ანალოგიური პრობლემის წინაშე დგას სოფელ ხაჯალის მოსახლეობაც, მაგრამ ხელშეკრულებაში წერია „ოქტომბრის თვე“ აქედან გამომდინარე, კომპენსაციები არ გაიცემა.

მუნიციპალიტეტის მერის, **ალექსანდრე სარიშვილის** თქმით, უნდა ინახოს ხელშეკრულება და იმის მიხედვით გაიგზავნოს ოფიციალური წერილი. არ არის გამორიცხული, რომ თუ კი შესაძლებელია, მოგვარდეს აღნიშნული პრობლემა.

მოქალაქემ, **თინამ ხელაძემ** აღნიშნა, რომ თვალზე აქვს კატარაქტა. მართალია, ღებულობს სოციალურ დახმარებას, მაგრამ ეს თანხა წამლებში არ ყოფნის.

მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა, **თამარ ფირცხალაიშვილმა** განმარტა, რომ აღნიშნულ მოქალაქეს სათანადო დოკუმენტაციის წარდგენის შემთხვევაში შესაძლებელია დახმარება გაეწიოს საოპერაციო ხარჯების დაფინანსების პროგრამის ფარგლებში.

გვიმბალაურის და ჯუნეწრის მოსახლეობის თქმით, გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი, დურმიშხან ხოფერია ადგილობრივი მოსახლეობის გვერდით დგას და ყველაფერს აკეთებს მათი პირადი თუ სოფლის პრობლემების მოსაგვარებლად.

სოფელ ჯაბელის მკვიდრმა, **ალეკო გოგიჩაიშვილმა** აღნიშნა, რომ შესალობია საყანე ფართობები. ასევე მოსაწესრიგებელია რკინიგზამდე მისასვლელი გზა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა შეხვდა ჩინური კომპანიის წარმომადგენლებს, რომელთა მხრიდან არის დაპირება, რომ ისინი დააფინანსებენ სოფლებში მეველეების ანაზღაურებას.

მოქალაქემ, **ავთანდილ ჭყონიამ** აღნიშნა, რომ მათ ქუჩაზე არ შემოდის სკოლის ტრანსპორტი და ბავშვებს დაახლოებით 2 კილომეტრის გავლა უწევთ ფეხით, სანამ მივლენ ცენტრალურ გზამდე.


გვიმბალაურის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის, **ცისანა ურუშაძის** თქმით, ერთი ოჯახის 4 ბავშვი დადიოდა „იავნანა“-ს დღის ცენტრში, მაგრამ უტრანსპორტობის გამო შეწყვიტეს სიარული.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ შესაბამისი წერილით უნდა მიემართოს საგანმანათლებლო რესურს-ცენტრს და ტენდერის ჩატარების დროს მოხდება საკითხის გათვალისწინება. აღნიშნული უბანი ჩაისმება ახალი სასწავლო სემესტრის დაწყებიდან.

გვიმზალაურის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი, ცისანა ურუშაძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან, ბესიკ ტაბიძესთან და მუნიციპალიტეტის მერთან, ალექსანდრე სარიშვილთან ერთად მოსახლეობას შეძლებისდაგვარად დახმარებას და რიგი პრობლემების მოგვარებას დაპირდა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე

A handwritten signature in blue ink, consisting of several loops and a long horizontal stroke extending to the right.

ბესიკ ტაბიძე